



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49232717

თარიღი:28/09/2023

სს „სილქნეტი“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 5 სექტემბრის №48-482324875 წერილი, რომელშიც სს „სილქნეტი“ წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას სს „სილქნეტი“-ს, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი N1-ში მითითებული გარე განათების ბოძები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, სს „სილქნეტი“-ს, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი N1-ში მითითებული გარე განათების ბოძები (დანართი N1 თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუბრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი
1	2	3	4
1	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა N4-ის მიმდებარედ	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.637
2	ქალაქი წყალტუბო, 26 მაისის ქუჩის მიმდებარედ	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 15.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.636
3	ქალაქი წყალტუბო, ვაჟა-ფშაველას ქუჩის I შესახვევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 6.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.639